საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№157 2017 წლის 9 ივნისი ქ. თბილისი

გ. გახარიასათვის „საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და შესაბამისობის შეფასების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

1. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს გიორგი გახარიას მიენიჭოს „საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და შესაბამისობის შეფასების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერის უფლებამოსილება.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების საფუძველზე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დ. ქუმსიშვილისათვის „საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის

რესპუბლიკის მთავრობას შორის სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და შესაბამისობის შეფასების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს პრემიერ-მინიტრის 2015 წლის 6 ნოემბრის N458 ბრძანება.

გიორგი კვირიკაშვილი